გადაწყვეტილება

N გ-25-11/393
17/07/2025

393-გ-25-1-4-202507171412

შპს „სქაიტელის“ (ს/კ 400013748) მიერ შპს „სიმნეტის“ (ს/ნ425266441) შერწყმაზე წინასწარი თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (შემდგომში “კომისია“) 2025 წლის 2 ივლისს განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის Nშ-25-6/2728 02.07.2025) მიმართეს შპს „სქაიტელის“ (ს/კ 400013748) და შპს „სიმნეტის“ (ს/ნ425266441) დირექტორებმა კომპანიების შერწყმაზე წინასწარი თანხმობის მიღების მოთხოვნით, კერძოდ, ტრანზაქციის შედეგად შპს „სქაიტელს“ შეერწყმება შპს “სიმნეტი”.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, შერწყმის ან წილის, აქციების ან საოპერაციო აქტივის შეძენის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შერწყმის ან შეძენის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომელიც მონაწილეობს შერწყმაში ან რომლის წილის, აქციების ან საოპერაციო აქტივის შეძენაც ხდება.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე ან შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის ან შეძენის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

შპს „სქაიტელი“ 2011 წლის 15 ივნისიდან წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1 ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა
ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.2 ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

	რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა
A.F.3	ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა
	პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა
A.F.4	მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა
	ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა
	ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებებს ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა
A.F.7	ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა
	ძირითადი საკომუნიკაციო ქსელების ურთიერთჩართვის გარდამქმნელი ტერმინალური აღჭურვილობის (IP TV, IP ტელეფონია) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა
B.F.1	ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება
	დგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
	საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
	საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება
B.F.2	ინტერნეტ მომსახურება
	Wi-fi ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება
B.F.4	მაუწყებლობის ტრანზიტი
	ტელემაუწყებლობის ტრანზიტი

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის და კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მონაცემების თანახმად შპს „სქაიტელის“ პარტნიორები არიან:

პარტნიორი/დირექტორი	**კომპანიის წილი**
ბესიკ მოსაშვილი	30%
ნინო თოთაძე	20%
დახურული სააქციო საზოგადოება ,,თიმ ინვესტი“	40%
ედუარდ ჯანოაშვილი	10%
დირექტორი არმენ ობოსიანი	

დახურული სააქციო საზოგადოება ,,თიმ ინვესტი“ სომხეთში რეგისტრირებული კომპანიაა, რომლის ბოლო ბენეფიციარ მესაკუთრეებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები ჰაიკ ესაიანი და ალექსანდრ ესაიანი.

შპს „სქაიტელი“, მისი პარტნიორები და მისი წარმომადგენელი - დირექტორი არმენ ობოსიანი ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირებში წილებს არ ფლობენ,

შესაბამისად "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[33] ქვეპუნქტის თანახმად ისინი საქართველოში სხვა ავტორიზებულ პირებთან ურთიერთდამოკიდებული (აფილირებული) არ არიან.

შპს „სიმნეტი" 2012 წლის 4 მაისიდან წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.2 ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა
რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.3 ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა
პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

B.F.2 ინტერნეტ მომსახურება

WiFi

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის და კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მონაცემების თანახმად შპს „სიმნეტის" დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი არის დავით ცერცვაძე.

კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მონაცემების თანახმად შპს „სიმნეტი" და მისი მფლობელი და დირექტორი დავით ცერცვაძე ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ სხვა პირებში წილებს არ ფლობენ, თუმცა დავით ცერცვაძე წარმოადგენს ავტორიზებული პირების - შპს „ნატექსის" და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სატელევიზიო მხარდაჭერის ასოციაციის დირექტორს. შესაბამისად "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[33] ქვეპუნქტის თანახმად შპს „სიმნეტი" აღნიშნულ ავტორიზებულ პირებთან ურთიერთდამოკიდებულია (აფილირებული). აქვე აღსანიშნავია, რომ შპს „ნატექსი" ოპერირებს მხოლოდ იურიდიული პირი აბონენტების მომსახურების სეგმენტზე ძირითადად ქ. თბილისში, ქ. რუსთავში, ქ. ქუთაისში და შესაბამის გეოგრაფიულ არეალში მისი საბაზრო წილია: აბონენტების შესაბამისად - 0,1%,, შემოსავლების შესაბამისად - 0,4%, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სატელევიზიო მხარდაჭერის ასოციაციას 2025 წლის იანვრიდან არ უფიქსირდება აბონენტები და შემოსავალი.

კომისიის საერთო სტატისტიკური ბაზის მონაცემების თანახმად, შპს "სქაიტელი" და შპს „სიმნეტი" ახორციელებენ ავტორიზებად საქმიანობას საცალო მომსახურების სეგმენტზე და შესაბამის გეოგრაფიულ ზონაში შემოსავლების, აბონენტების და მათი წილების რაოდენობა შემდეგია:

საცალო მომსახურების კატეგორია	შემოსავლები (2024 წლის იანვრიდან 2025 წლის მაისის ჩათვლით, ლარი დღგ-ს გარეშე)	ბაზრის წილი %	აბონენტების რაოდენობა 2025 წლის მაისის მდგომარეობით	ბაზრის წილი %
სიმნეტი				
ფიქსირებული ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება -	719,255	5%	3518	6%

სქაიტელი				
მაუწყებლობის ტრანზიტი - სააბონენტო გადასახადი	344,609	1%	3229	0.2
ფიქსირებული ქსელის გამოყენებით გაწეული მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება -	36 428 413	6.3%	68,243	6%

აღსანიშნავია, რომ შპს ,,სქაიტელი“ ასევე ახორციელებს საბითუმო მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურებას, სატელეკომუნიკაციო ტექნიკის რეალიზება/იჯარის მომსახურებას და ადგილობრივი (დასახლებული პუნქტის ფარგლებში) ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხების იჯარის მომსახურებას. აღნიშნული საბითუმო საქმიანობებიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა:

საბითუმო მომსახურების კატეგორია	შემოსავალი დღგ გარეშე (2024 წლის იანვრიდან 2025 წლის მაისის ჩათვლით)
საბითუმო მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - გაფართოებული ურთიერთჩართვა	44,000
საბითუმო მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - ლოკალური და გლობალური ინტერნეტი	1,504,006
სატელეკომუნიკაციო ტექნიკის რეალიზება/იჯარა - სატელეკომუნიკაციო ტექნიკის იჯარა	119,875
სხვა არასაკომუნიკაციო მომსახურება - სხვა არასაკომუნიკაციო მომსახურება	1,087,039
ქსელის ელემენტებთან დაშვება/იჯარა - ადგილობრივი (დასახლებული პუნქტის ფარგლებში) ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხების იჯარა	49,274

კომპანია ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შემოსავლებისა და აბონენტების საბაზრო წილის მიხედვით საქართველოს მასშტაბით მე-3 ადგილს იკავებს შპს „მაგთიკომისა“ და სს „სილქნეტის“ შემდეგ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შპს ,,სქაიტელი“ კომისიის მიერ განსაზღვრულ არცერთ შესაბამის ბაზარზე არ არის ნაცნობი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად.

შპს „სიმნეტის“ინტერნეტ აბონენტების რაოდენობის ხვედრითი წილი შესაბამის რაიონში არსებულ ინტერნეტ აბონენტების საერთო რაოდენობასთან მიმართებაში შემდეგია:

შპს "სიმნეტი"	შემოსავალის წილი	აბონენტების წილი
ადიგენის რაიონი	9.77%	9%
ასპინძის რაიონი	20.00%	20%
ახალციხის რაიონი	5.52%	6%
ბორჯომის რაიონი	0.01%	0.001%
ზუგდიდის რაიონი	0.01%	0.01%
თბილისი	0.0001%	0.001%
მარტვილის რაიონი	0.37%	1%
სენაკის რაიონი	0.207%	0.4%
ჩხოროწყუს რაიონი	18.27%	42%
წალენჯიხის რაიონი	4.33%	10%

ხობის რაიონი	2.86%	7%

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ რაიონებში „სქაიტელისა“ და „სიმნეტის“ გარდა ოპერირებენ სხვა ოპერატორები. ქვევით მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია აღნიშნულ ტრანზაქციაში მონაწილე კომპანიებისა და შესაბამის რაიონში მოქმედი სხვა ოპერატორების საბაზრო წილების შესახებ:

	ბაზრის წილი აბონენტების რაოდენობების მიხედვით
ადიგენის რაიონი	
გლობალ ტელეკომი - (424254247)	4%
ლოკალნეტი	0.03%
მაგთიკომი	55%
ნეტკომ - (423352712)	2%
სილქნეტი	6%
სიმნეტი	**9%**
სქაიტელი	**23%**
ჯორჯიანაირლინკი	0.03%
ასპინძის რაიონი	
მაგთიკომი	28%
ნეტკომ - (423352712)	31%
სილქნეტი	5%
სიმნეტი	**20%**
სქაიტელი	**17%**
ახალციხის რაიონი	
გლობალ ტელეკომი - (424254247)	12%
ვი-ჯი-ეს ნეთვორქ	0.1%
მაგთიკომი	52%
ნეტკომ - (423352712)	2%
სილქნეტი	22%
სიმნეტი	**6%**
სქაიტელი	**6%**
ბორჯომის რაიონი	
მაგთიკომი	61%
ნარინე სუკიასიან-სათხა ნეტ	0%
ნეტკომ - (423352712)	2%
ორბი ნეტ	0.01%
სილქნეტი	29%
სიმნეტი	**0.01%**
სქაიტელი	**8%**
ჯორჯიანაირლინკი	0.01%
ზუგდიდის რაიონი	
აიროპტ	0%
ახალი ქსელები	7%
ენჯი სისტემსი	0.008%
თორნიკე ანთია	0.027%
მაგთიკომი	36%

ორდუგე	0%
ორდუნეტ	24%
პრონეტ PRONET	0%
სილქნეტი	26%
სიმნეტი	**0.01%**
სქაიტელი	**6%**
ხულო ნეტ	0.004%
ჯორჯიანაირლინკი	0.10%
მარტვილის რაიონი	
ახალი ქსელები	33%
ვიჯიეს ლაინი	8%
ვი-ჯი-ეს ნეთვორქ	2%
მაგთიკომი	41%
ორდუნეტ	3%
პრონეტ PRONET	1%
სილქნეტი	3%
სიმნეტი	**1%**
სქაიტელი	**8%**
სენაკის რაიონი	
best.net	2%
GeNet ჯინეტი	0.01%
ალტერნეტი	1%
ბესტნეტ+	1%
ვი-ჯი-ეს ნეთვორქ	0.1%
მაგთიკომი	47%
სილქნეტი	40%
სიმნეტი	**0.4%**
სმარტნეტი - (400292606)	4%
სქაიტელი	**5%**
ჯორჯიანაირლინკი	0.01%
ჩხოროწყუს რაიონი	
best.net	0.1%
მაგთიკომი	36%
ორდუნეტ	11%
პრონეტ PRONET	5%
სილქნეტი	2%
სიმნეტი	**42%**
სქაიტელი	**5%**
წალენჯიხის რაიონი	
აიროპტ	4%
თორნიკე ანთია	0.2%
მაგთიკომი	65%
ორდუგე	3%
ორდუნეტ	3%
სილქნეტი	1%
სიმნეტი	**10%**
სქაიტელი	**13%**
ხობის რაიონი	
best.net	1%
ბესტნეტ+	0.3%
ექსპრეს ნეთვორქ	2%
ვი-ჯი-ეს ნეთვორქ	0.02%

მაგთიკომი	35%
ორდუნეტ	36%
სილქნეტი	3%
სიმნეტი	**7%**
სმარტნეტი - (400292606)	0.3%
სქაიტელი	**16%**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სიმნეტის“ შპს „სქაიტელთან” შერწყმა ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გავლენას არ იქონიებს და აღნიშნული ტრანზაქცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს თავსებადად ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოსთან. შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნულ ტრანზაქციაზე თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

სატელეკომუნიკაციო ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემო დინამიურობით გამოირჩევა, ამიტომ მიზანშეწონილია კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი თანხმობა ავტორიზებული პირის წილის შეძენაზე, ძალაში დარჩეს მაქსიმუმ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში. ეს არის სავარაუდოდ ის გონივრული ვადა, რა დროშიც არსებითად შეიძლება შეიცვალოს ბაზრის კონიუნქტურა, ავტორიზებული პირების ხვედრითი საბაზრო წილები და ა.შ. აღნიშნულ ვადაში ტრანზაქციის განუხორციელებლობის შემთხვევაში, სავალდებულო იქნება ხელახალი თანხმობის მიღება.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა შპს „სიმნეტს“ შპს „სქატელთან“ შერწყმაზე;

2. ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ “ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილების შესაბამისად გათვალისწინებული მომხმარებელთა უფლებების დაცვა:

3. განემარტოს შპს „სიმნეტს“, რომ ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული კომპანიების შერწყმის შემთხვევაში, შპს „სიმნეტი“ ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე კომისიას აცნობოს შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში;

4. ამ გადაწყვეტილებით კომისიის მიერ გაცემული თანხმობა ძალაშია გადაწყვეტილების მიღებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ტრანზაქციის განუხორციელებლობის შემთხვევაში, კომპანიები ვალდებული არიან ხელახლა მიმართოს კომისიას თანხმობის მისაღებად.

5. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „სიმნეტისათვის“ გაგზავნა (ბ. გასვიანი);

6. გადაწყვეტილება ძალაში შედის ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „სიმნეტისათვის“ ჩაბარების დღიდან;

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), შპს „სიმნეტისათვის“ ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში;

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობისა და სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (ე. სიჭინავა).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი